

# საქართველო

წ. 1915 წ.

შაბათი 19 მაისი

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვეურად 4 აბ. ცალკე ნუმერი 1 მ.  
შაბათი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასს შეამოკუნებენ.  
ნაწილწლიურად გადაიხდებიან. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი დროის განმავლობაში.  
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვაჭარში 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა  
ფასი: სტრიქონი პეტრიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კაპ. სამკლავიერო განცხადების  
დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 82

ყოველდღიური საკომუნიკაციო და სალიტერატურო გაზეთი

№ 82

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაცივლებს სხვაზედა, ორივე ტკბილი ძმობილია, მირჩენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთი ქვეყანაზედა.“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ უ რ ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს :

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებით—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“. ვისთხოვთ ომში დაკრძალულ და მოკლულთა ნათესავ-მგვობრებს მოგვაცოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ახ. ქუთაისის**

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ახ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიკული, პედაგოგიური, იურდიკული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამოართული ცნობილი საკანონმდებლო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ა მ ა ი უ ვ ა ს ო თ — თ .

**მუშაობს ხრესილის მადნაწარმო ფაბრიკის მ. შოკოლაძის სამუშაო.**

**ს ა ბ ა ნ ო .**

აბანო მდებარეობს მდ. მდინარეზე მდებარე მთის პირზე და, როგორც ნამდვილი გამოირკვა, კურანს მრავალ სხვადასხვაგვარ ავთამყოფობას; ქარებს (რეჟი. ტაშის) სხვადასხვაგვარ მუწებს, საშუალოდ, სერვისის სისუსტეს, ჩაყოფილ ციკას (შალარას), კუჭის ტკივალს, ვენერულ ავთამყოფობას, ეგზემას, სისინეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილი იმყოფება მდინარე ქვეშ, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სხვ. საკმარისი ფასები ყოველთვის ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნა ვადას“ ხრესილი სადგურის მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საყენია აბანოში. ქუთაისის სადგურზე მოითხოვთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნა ვადას“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით.

24 მაისიდან თფილისში გამოვა ნაცვლად ჟურნალ „კლდისა“ ყოველ-დღიური გაზეთი

**„საქართველო“**

ფასი წლის დაძველებული 5 მან. ჰირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“ ხელის მოძველებული, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი ეგვეზარებთ 1 მკათაფიქდე.

— ადრესი: Тифлиси, Московская ул. № 4. —

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

**გაბრიელ იოსების ძე**

**ექიმი გოკიელის**

ელეზარისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერული ავთამყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე**

**გოკიელი**

ამ ზღვრულ რჩება ქუთაისში და განაგრძობს ავთამყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი. 7—4

**ექიმი ი. ჩაჩაძე**

ქალაქის საავთმყოფო ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერული და სხვადასხვა ავთამყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალექსანდრეს სახლი. (თ.)

**ექიმი მ. ბ. მულანი**

განმარტებული ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვიდის სახლში. ლეზარისა და სინათლის, ცხვირისა და ყურების ავთამყოფების. დილით 2—3, საღ. 7—8.

**ექიმი მ. ბ. ბალანდიაძე**

ჩამოვიდა და განაახლა ავთამყოფების მიღება, აქვს შიშობილი **ორთქლის ვანა**, რომელიც სწრაფად სხვის უფლებებზე ავთამყოფობას: სინათლის, მუწების, საკეცის, ჭრილობის და საყვავილო დასაჩერებელი სახეს, ამასთანავე ფარს სხვის სხვა და სხვა ავთამყოფობას. **აბრეშის ვანა** ავთამყოფების მიღებას: აბრეშის ვანა 9—2 დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩება და დარჩება 10 შ. მარჩენის ფასი ადგილზე გააკეთა. მისამართი: გენერალის ქუჩა, დასაწყისის სახლი. თ.

**მ ა ი**

პეტროგრადის დეპ. სააკენტოვსკის. **ალმოსავლის ასპარაზი.**

პეტროგრადი. 16 მაისი. მთავარსარდლის შტაბისაგან შავლის რაიონში მტერმა ბუბიეს პოზიციებიდან უკან დაიხია და ეხლა კურტიკიან-პოდუბისის ფრონტზე იბრძვის. 15-ს ჩვენმა ჯარმა დაიკავა მტრის პოზიციები ამ რაიონში და მტერმა კურტიკიანიდან უკან დაიხია.

ქვემო დუბისზე მტრის იერიშები შეწყვეტილია. 14-ს მტერმა ოსოვეცის დაუშინა მიმდებარე ტერიტორიით, მტრის ცეცხლს ზინი არ მიუყენებია. სენიავსა და პერემისლს შუა 15-ს ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა მდ. ლიუბაჩევსკისა, აგრეთვე სოფ. ტუხლასა, კალნიკოვს, ნაკლო-ბარისის ფრონტზე. სოფლები ხელიდან ხელში გადადიოდა. გენ. მაკენუნის არმიის ტყვეები ირწმუნებინა, რომ მტრის ზარალი აუზაცხელია.

პერემისლსა და დნესტრის დიდ ქაობს შუა ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში, დნესტრის ფრონტზე 14—15-ს დიდი ბრძოლა იყო. მტერი არავითარ ზარალს არ ერიდებოდა და დილის ძალებით ჩვენ პოზიციებზე მოდოდან დნესტრის დიდ ქაობიდან დონილამდე. იერიშები მოვიგერიეთ. მდ. სვიციის მარცხენა ნაპირზე და მდ. ლომნიციის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა. პერემისლსკოსთან ჩვენი იერიშები გრძელდება, აქ ჩვენ 15-ს ტყვეთ წამოვიყვანეთ 3200 კაცზე მეტი, 72 აფიცერი და ჰუნეიდის ერთი პოლკის დროშა.

პეტროგრადი. 17 მაისი. მთავარსარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს, რომელიც გამაგრებულია სოფ. შავკინასა და კოლმ-ში. სოფ. სავლონიკთან ჩვენ ვიხელთეთ 9 ზარბაზნი, 7 ტყვიის მტყორცნელი და მრავალი სხვა სურსათი, ქვემო და შუა დუბისაზე მტერმა იერიშები განაახლა. ჩვენმა ჯარმა მდინარეს აქვთ დაიხია და 16 მაისს მტრის ხელი შეუშალა მდინარეზე გადმოსულიყო.

გალიციაში ჩვენ გავსწამდეთ მტრისაგან მდ. სანის მარჯვენა ნაპირი მდ. ლიუბაჩევსკის შესართავამდე, აქ მარჯვეთ ვმოკმედებით მტრის მთავარი ძალების წინააღმდეგ, რომელიც გამაგრებულია ლიუბაჩევსკის, კალნიკოვს, ნაკლოს რაიონში. დღის განმავლობაში აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 3000 ჯარის კაცი, 60 აფიცერი, ტყვიის მტყორცნელები და პროექტორი. დნესტრის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მტერი სასტიკათ იბრძვის გოის რაიონში, ამის საწინააღმდეგეთ ჩვენ კონტრ-იერიში მივიტანეთ, ერთმა ჩვენმა ბატალიონმა შესძლო მტრისათვის თავი დაეარა, ძლიერ დაასუსტა და 600 ტყვეთ წამოვიყვანა, მათ შორის 17 აფიცერი. დლინის რაიონში მტრისაგან გავსწამდეთ მდ. სინციის მარჯვენა ნაპირი, დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა. 16 მაისს შავ ზღვაზე ჩვენმა ფლოტმა კოზლუს მახლობლათ დაანგრია ელექტრონის ს. დაური და ქვანახშირის დასამუშავებელი შენობები.

**გერმანელთა ოფ. ცნობის უარყოფა.**

პეტროგრადი. 16 მაისი. გენერალური შტაბის ოფიც. ცნობა. გერმანელ ერთ ოფიც. ცნობაში ნათქვამია, თითქოს მტერს მოეპოვოს უსურის ბრიგადის ერთი პოლკი და თითქოს ჩვენი ჯარი შაკიდგან კოვ-ნოსკენ გაქცეულიყოს. შეკრებილი ცნობის მიხედვით უსურის ბრიგადის ყველა პოლკები თავიანთ ადგილზე იმყოფებიან. გერმანელთა მიერ ნაჩვენებ დროს მართალია ჩვენ დრავუნთა ნახ. ესკადრონს ცხენოსანთა ჯარი გარს შემოვრტყა, მაგრამ ესკადრონმა შესძლო მტრის რაზმის გარღვევა და თუმც დიდის ზინით, მინც შესძლო უკან დაბრუნება. რაც შეეხება ჩვენი ჯარის შაკიდგან გაქცევას, ეს თუმცა მართალია, მაგრამ ეს გამოწვეული იყო არა გერმანელთა მოქმედებით, არამედ ჩვენი საკუთარი განკარგულებით. გერმანელთა ცნობა, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რამდენადა აჩქარებულათ ექვედინ ისინი, რომელიც ასეთ ცნობებს უჯეროან. უტყუარი ცნობებით ჩვენ მიერ წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი პირველ აპრილს უდრიდა 10734 აფიცერს და 600,378 ჯარისკაცს. ამას გარდა გალიციელი ტყვეები ტყვეთ წამოყვანის შემდეგ გათავისუფლეთ და უკან სამშობლოში დავაბრუნეთ.

**პეტროგრადი. 17 მაისი.** სენიავის ადგილის შემდეგ გენ. ირმანოვმა აიღო 15 მაისს სოფ. ლეზაროვი და ტყვეთ წამოვიყვანა 1000-მდე ჯარისკაცი.

**პავლასის ასპარაზი.**

პეტროგრადი. 16 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან, ჩვენ მოწინავე რაზმებს უწინაშეწელი შეტაკება ქონდა ოსმალეთთან არკინთან. ერთმა ყაზახთა პოლკმა ქურობები დაამარცხა მიშკინთან დუტახის რაიონში კასთანის აღმოსავლეთით.

**პეტროგრადი. 17 მაისი.** ოლთისის გეზით 15 მაისს უწინაშეწელი შეტაკებები იყო. ზღვის პირის გეზით ჩვენმა ჯარმა დაიკავა ს. შეკრებული და მეფინის უღელტეხილი ლიზავიავის გზაზე, აგრეთვე სოფ. რუზა. სოფ. მონჩლოვის რაიონში ჩვენ ჯარს შეტაკება მოუხდა ოსმალეთა ჯართან.

**დასავლეთის ასპარაზი.**

**დარდანელი.**

**გვერელი. 14 მაისი.** კუნძულიდან იუწყებიან, რომ გალ. ნახევარ კუნძულზე ცხარე ბრძოლაა. 12 მაისს ოსმალეთმა დაკარგეს 200 კაცი და 5000-მდე დაჭრილი. მოკავშირენი რამდენიმე ადგილას წინ მიიწვივნ.

**ავსტრიის წყალქვეშა ნავის შეპყრობა.**

**აინა. 16 მაისი.** „ტრიუმფის“ ნაღვით ჩაიბრვა მოხდა სელიმ-ბაზართან. კომანდა, 850 კაცი, გადაარჩინეს. მოკავშირეთა ფლოტმა შეიპყრო ავსტრიის 1 წყალქვეთა ნავი მოსპოვებო და უკან დაედგნა მესამეს. ეს ცნობა ოფიციალურათ შემოწმებული არ არის.

**ჯარის რაოდენობა ნახევარ კუნძულზე.**

**აინა. 16 მაისი.** მოკავშირეთა გეზით ას სამოცდა რვა ნაღვით დატვირთული მუდროსში მოვიდა. ოსმალეთა ჯარის რაოდენობა გაიზო. ნახევარ კუნძულზე, უდრის 20,000 კაცზე მეტს. მოკავშირეებს ყავთ 150,000, სარწმუნოთ იუწყებიან, რომ ოსმალეთა არმიის აფიცრები აღრიანოპოლ ჩატალჯაში — სტამბულის წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 400

ბოლოში და დარდანელში გერმანელები არიან, ოსმალთა აფიცრები-კი მკირე აზიაში გაგზავნეს.

**გერმანელთა წყალქვეშა ნავების ძებნა.**

**სოლოფა. 16 მაისი.** მოკავშირეთა ფლოტმა ახალ ბაზათ გერმანელთა წყალქვეშა ნავების საძებნათ დაიკავა გაციონი ანდროსის კუნძულზე. მიტილენიდან იუწყებიან, რომ მიუხედავათ მტრის გამოდგებული ცეცხლისა, მოკავშირენი ნელა, მაგრამ გამუდმებით წინ მიიწვივნ. კაბასთან, ფრანგების თავგამოდებით ოსმალეთა წინააღმდეგობა შედრკა. მოკავშირეებმა დაიკავეს ნავარასთან მალლომები, რომლითაც მოკავშირეთა მოქმედება გაიზო. ნახევარ კუნძულზე უფრო ინტენსიური ხდება.

**პარიზი. 16 მაისი.** არასის ჩრდილოეთით ღამით არტილერიის ცხარე ბრძოლა იყო. მტერი განსაკუთრებით უმიზნებდა ლორეტთან ჩვენ პოზიციებს. ჩვენ ხელახლა წინ წავიწვიეთ გვერელი გზის აღმოსავლეთით სუშესკენ. აბლენ-სენანგერთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. არგონესში ფონტენმადამის რაიონში ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრების ნაწილი.

**ბელგიის შტაბის ცნობა.**

**პავრი. 16 მაისი.** ჩვენმა ბატარეებმა გაფანტეს დიქსმიუდეს საზრეთით მტრის მუშები და მარჯვეთ ესროდენ ფერმას, საიდანაც მტერი გაიქცა.

**პარიზი. 16 მაისი.** არასის ჩრდილოეთით ჩვენ ახალი წარმატება გამოვიჩინეთ. აბლენის და სენ-ნახარის პოზიციის წინააღმდეგ მოგვეგრებულ იერიშის შემდეგ, ჩვენ იერიში მივიტანეთ და შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ჯერ ნაწილი და შემდეგ კი სულ აბლენის ყველა სახლები, ახლა სოფელი სულ ჩვენ ხელთაა. ბრძოლა მეტათ მწუვავე იყო, ჩვენ მოგვებით მტრის სამიროტა, ნევეულნი კიდევ ბრძოლა. აქ ჩვენ ვიხელთეთ კიდევ სახლები, დანარჩენ ადგილებში არასში ცვლილება არ მომხდარა. ლასინის საზრეთ-დასავლეთით ჩვენ ჩამოვადეთ მტრის პერეოლანი. შამოლ-გომიდან მოკიდებული განუწყვეტელი ბრძოლა იყო ლეზარტრის ტყეში, სექტემბერში ჩვენ გვეყავა ამ ტყის ნაპირი, ზამთარში ჩვენ ტყეში წინ წავიწვიეთ და ჩვენი წინსვლა არ შეჩერებულა. ზოგან ჩვენ ვპარავდით რომელიმე პოზიციას, მაგრამ იერიშით ჩვენ ვიბრუნებდით დაკარგულ ადგილებს. 7 თვის ბრძოლის შემდეგ ჩვენ მიზანს მივაღწიეთ.

**პარიზი. 15 მაისი.** მტრის კონტრიერიშები ჩვენი პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ დავიკავეთ ანგერის მახლობლათ, ჩვენ მოვიგერიეთ. ჩვენი ჯარი აბლენ-სანანგერთან განაგრძობს იერიშს; ჩვენ დავიკავეთ სასაფლაო და მთელი მახლობელი სახლები, მათ შორის დედლის სახლიც, რომელიც მტრის ძლიერ გამაგრებული ქონდა. ამის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრები აბლენის გზაზე, მაგრამის წინააღმდეგობა და აბლენის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მიუხედავთ მტრის გაათრებულ იერიშისა ჩვენმა ჯარმა შეინარჩუნა ადგილები პოზიციები. მტერმა დიდი ზარალი ნახა. დილით ადრე ჩვენი ჯარი აღმოსავლეთისკენ გაემართა. სუშეს მხრით გერმანელთა სიმაგრეები დაიკავეს. ბრძოლას მტრთ მწვავე ხასიათი ქონდა. ქუშენ წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 400

კაცს უდრის, მათ შორის 7 აფიცერია. ამას გარდა ჩვენ ვიხელოთ 12 ტყვიის მტყორცნიელი. დილით, ფორტებს აღდგენის შემდეგ, ჩვენ კიდევ წამოვიყვანეთ ტყვეები, რომელთა რაოდენობა ჯერ გამოკვლეული არ არის. გერმანელები არტილერიის ტყვეებს უმზინებდნენ როკეტულ ტყვიის თევზის, მაგრამ ქვეითა ჯარის იერიში არ მოუტანია. ამის გამო ჩვენ წინ წავიწიეთ და 60 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მოხდარა.

**პარიზი.** 15 მაისი. საღამოს ცნობა, ინგლისის ჯარმა წინ წაიწია ლაბასესკენ. ანგერის ახლო მტრის იერიშები გრძელდება წინააღმდეგობის სიმკაცრით. დღის განმავლობაში მტერმა ხუთჯერ მოიტანა იერიში და ორჯერ კიდევ ლამით. ჩვენმა არტილერიამ ყოველთვის უკუაქცია მტერი. ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა ადგილები. ეკიურის ჩრდილოეთით, ლიბინის ტყის ძნელ გასავალ რაიონში, ჩვენ 100 მტერთი წინ წავიწიეთ. ანგერის და არასს შუამთელი დღე არტილერიის გასარბული ბრძოლა იყო. ლპრეტის ტყის ახლო ჩვენ გზატკეცილამდე მივასწიეთ. კრუას რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ 150 ტყვე, მათ შორის რამდენიმე აფიცერი და ვიხელოთ ერთი ტყვიისმტყორცნიელი. ელზასში შენებულ რაიონში მდებარე რამდენიმე ასი მტერთი წინ წავიწიეთ.

**ბელგიის შტაბის ცნობა.**  
**პარიზი.** 15 მაისი. გუშინ საღამოს მტერმა იერიში მოიტანა ჩვენ სიმაგრეზე, რომელსაც ჩვენი დივიზია იცავდა. იერიში მოვიგერიეთ. წარსული ღამის განმავლობაში მტრის არტილერია ცეცხლს უმიზნებდა განსაკუთრებით იზერის იქითა მხარეს, სტრენსკერკს, კაზერკს და მათ მიდამოებს.

**იტალია.**  
**რომი.** 15 მაისი. დღეობაში წითელი ჯარის განკარგულებაში გადასცა დეპონდებისთვის სასახლის პირველი სართული. დღეობაში დღემდე მიზნისთვის გადასცა თავისი სასახლის ნაწილი. პაპმა დაქირავეს საქირაოსთვის გადასცა წმ. მარტის საავიანო ვატკანთან, სასახლის ნაწილი და გონდოლოვს საყდარი.

**ინგლისის გემის დაღუპვა.**  
**ლონდონი.** 16 მაისი. „ელდერ დენ-სტერ კომპანიის“ გემი „ეთიოპი“ წყალქვეშა ნავში ჩასიძრა. აფიცერი და 16 კაცი გადაარჩინ. დანარჩენები ჯერ კიდევ ნავებში იმყოფებიან. გემი დაიღუპა ლამანის დასავლეთით.

**ოსმალთა დაჭრილობა რიცხვი.**  
**სოლონი.** 16 მაისი. სტამბოლიდან და-

ბრუნებულ იტალიელ ექიმების სიტყვით მარტო სტამბოლში დაჭრილობა რიცხვი 70.000 კაცს უდრის. მერე დაჭრილ მცირე აზიაში აგზავნიან. ჯარის სხვადასხვა ნაწილებში იმყოფება 800 გერმანელთა აფიცერი. დარღვეულში აჯანყდა ოსმალოთა პოლი. 17 აფიცერი დახვრიტეს.

**ავსტრიის ნაპირების ბლოკადა.**  
**პეტროგრადი.** 17 მაისი. იტალიის მთავრობამ გამოაცხადა ავსტრიის მთელი ნაპირების ბლოკადა იტალია-ავსტრიის საზღვრებიდან, ავსტრო-უნგრის საზღვრებამდე და აღბანია ჩერნოგორიის საზღვრებიდან კეფალის სტრამდე. ყველა გემი, რომელიც ამ საზღვრებში მოსურფვეს ცურავს, ბლოკადის დამრღვევთა ჩაივთლება.

**იტალიის ჯარის მოქმედება.**  
**რომი.** 17 მაისი. ჯარის ოპერაციების შესახებ შემდეგი ოფ. ცნობა გამოქვეყნდა: ტიროლის საზღვრებზე არტილერიის ბრძოლა იტალიის სასარგებლოდ სწორდება. მტრის სიმაგრეები ძლიერ დაზიანდნენ. იტალიელებმა დაიპყრეს ალოე. იტალიის დანაკლისი უმნიშვნელოა. იტალიის კონტრანდომოსანი „სევიზო“ შევიდა უეცრად პორტობუზოში, ესროლა ყაზარმებს და მრავალი მოტორის გემები ჩასიძრა. უნგრეთის პორტუჩიკა, რომელიც იქ იმყოფებოდა, თეთრი ბიარდი ასწია და დაგნებდა. იტალიის ორი ნაღმოსანი შეგებრძოლა ავსტრიის ორი ნაღმოსანი და ორ წყალქვეშა ნავს. ერთი წყალქვეშა ნავი ჩაიძრა. იტალიელებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. იტალიის პილარობანმა ყუმბარები ჩამოყარა სტერეოკოში და რამდენიმე ნაღმოსანი მოახდინა. ავსტრიის ნაღმოსანი „ეს 80“ მოუახლოვდა პორტობუზონის არსს. ჩვენმა ბატარეამ მას დაუშინა. კონტრანდომოსანი, რომელიც ნაღმოსანი „ეს 80“ ახლდა ძლიერ დაზიანდა და გემ „ნოვარა“ თავი შეაფარა. ბევრი დაღუპა. იტალიის ნაღმოსანი 300 ტონის წყალქვეით აღმოაჩინა ავსტრიის ნაღმოსანი. უცბათ გაჩნდა მტრის 9 გემი ნაღმოსნების და მსუბუქი კრესერების „გელგოლანდის“ თანხლებით. იტალიის ნაღმოსანი უკან დაბრუნდა, რომ თავის რაზმს შეერთებოდა, მაგრამ ქვაბების დაზიანების გამო ეს ვერ შესძლო. გამრული ბრძოლის შემდეგ კომანდირმა ბრძანა კინსტონების გაღება, რომ ტყვეთ ჩავარდა. თავიდან აეშორებია. მტრის გემები განაგრძობდნენ სროლას. ჩ.ძირვის წინ კომანდირმა კომანდას უბანა წყალში ჩაცვენილიყვენი. ამის შერდეგ ავსტრიელთა ნაღმოსანებმა

ქანკული მუშა ერთ დღეს მიანიც სულიერად მოიხვედნენ, გაერთობა, გამხიარულდება, თან საზღვაო-სამხედრო დაკმაყოფილება, სადაც სხვის ტყუას ნათესაობა, გაიხიარება, თავისი საფიქრალ-ნაქირანახულებს სხვებს გაუზიარებს, ითა მამებს, იკუადებს, ლექს-სიმღერებს გაიგონებს და გააგონებს, გოგონებს საქმროებს უჩვენებს და სასიძოვებს აარჩევინებს იმისთანა საყოფებს, რომ თვალში მოუღიოდა; სადაც დამსწრე სოფლის მუშა ცეკვა-ფერხულში, ბურთობა-ყაბახობაში, ცხენოსნობა ისრობაში ან მონაწილეობს, სახელს იხვევს ხალხში, ან მხოლოდ სხვებს თვალს ადევნებს, სტკება და აქეზებს. განა ესეთი კულტურული ჩვეულება ერისა გადასადგებია?

რომელ „კულტურულ“ ვერობის ხალხშია, თუნდ ასეთი ჩვეულება, რომ უცხო კაცი რომ სოფელში მოკვდეს უქირაოსულოდ, მთელი სოფლიდან კომლზე კაცრ ვახლება უცხო კუბოს, ყველა სამიძარს ეტყვის, თუ ერთი ქარისუფალი მიანიც ახლავს კუბოს; ხოლო თუ ცხედარი გაიხიარის კაცისა—ქულტურული მიაკიდებს ეკლესიაში, პატრიცებს ისე, რომ ერთი ბისტრიც არ დაეხარება ქირისუფალს.

ან რა დასაწუნია ის ჩვეულება, რომ (მაგ. იმერეთში) როცა სოფელს ესტუმრება უცხო საპატრიცელო პირი და დაბინავდება თუნდ უბრალო გლეხის სახლში, ეახლებიან იმ უცხოს, ღებინ უჩვენებენ სტუმარს, გაუგონარ სიმღერებს გააგონებენ, ალხენენ, თავს შეუყვარებენ, ჩვენს ეროვნებას ვაცნობენ.

თვითონ ჩვენ გვინახავს, რომ საპატრიცელო სტუმარი (იმერეთში) სოფელს ახლო ნანგრევ შენობაში ჩამოსტა, თავისი ამაღლა, ახლდა, საუბრე თან მოჰქონდა და დასდენ. ეს რომ სოფელმა გაიგო იქიდან ბევრი მოაწყდა ამ უცხოს—ყველას თავისი პურლინო მოჰქონდა; შეუერთდნენ ამ უცხოს და ისეთი ღებინ უჩვენეს, რომ გამოუშვეს მათ გადასარჩენათ, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა იტალიის ესკადრა. იტალიის ესკადრა დაედგინა და სერიოზული ზიანი მიაცენა ავსტრიის კონტრანდომოსანს „ტარას“. ტარასის დაკრესი „გელგოლანდის“.

**აიონი.** 17 მაისი. საფრანგეთის ჯავშნოსანმა „უინდარკმა“ ცეცხლი დაუშინა აზიის ნაპირზე ტრისტომინს, კეკოვს, ბურუმს, ყარატაკეს, აქლანდუსს და მუსკლისს, ამ სოფლების უმეტესი ნაწილი ნაპარტუტათ აქცია.

**სერბიის ასპარეზი.**  
**ნაში.** 15 მაისი. ჩვენმა არტილერიამ გააფანტა მტრის ბატალიონი, რომელიც კუპინოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთით გამაგრებას სცდილობდა. ამავე დღეს ჩვენმა არტილერიამ დაბრეს გეზით გაფანტა მტრის ქვეითა რაზმი, ბოლოს, იმავე დღეს მტერი ჯავშნოსან ავტომობილის საშუალებით და 10 ზარბაზ. დახმარებით შეეცადა ჯარის. გადმოსხმას ცოკოლიანის კუნძულზე ჩვენმა ჯარმა მტერი გაფანტა ახრილიდან შემდეგი დებეშო მოვიდა: გუშინდელი დღის განმავლობაში სროლა იყო წმ. ნაუშის მიმართულებით. პოდგორიცასთან აღბანელები თავს იყრიან.

**უპრენალ-გაგათილიან.**  
**ა ვ ს ბ რ ი ა.**  
 ვენის მთავრობა ყოველწლიურად ცდილობს იტალიის ბრალდება თავიდან აიშოროს. ავსტრიელები ამტკიცებენ, რომ იტალიის დიპლომატიის განწყობილება ავსტრიისთან გულწრფელი და მეგობრული არ იყო. ავსტრიელები უმბაყოფილებ, იტალიის საქციელის გამო, აუწყებოდა.

„ფრანკი“. ცეცხლს მიუხედავად ხანგაძლიერი ომისა და აურაცხელი მსხვერპლისა, რომელიც ავსტრიამ შეწყვიტა რუსეთ-სერბიის ომს, ავსტრო-უნგრეთი მიანიც ისეთი ზილით არ უყურებს ამ ორ სახელმწიფოს, როგორც იტალიას. და ეს ზილი უფრო გაძლიერდება და გამწვავდება იტალიის დღევანდელი გამოხვედრით.

გაზეთების ცნობით, სამხრეთის ჯარის მეთაურთა გინდებურები იქნება. ავსტრიის სოც. დემოკრატი რენერი იტალიის გამოსვლის მთავარ საზაბათ სთვლის მის (იტალიის) გაბატონებას ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და თუ იტალიის გამოსვლამ ზიანს მიადნია, ავსტრიის ზღვისკენ ყველა გასასვლელი დაკე-

ვენეს, რომ გაშტრებით ჰკითხულობდა მოგზაური; ეს რა ხალხი ყოფილა, რა სიმღერა-გალობა ჰქონია, რომ ეთიოპიაში მიღებდა, რა ზრდილობა ან რა მხედრობის სიტყვა-პასუხობა! ჩვენ რა ველოდებოდით მიგაჩინებარს—სწორედ აქ ყოფილა ატრიკური კულტურა, შეუწყვიტელი ან მინაური დამოკიდებულება. ჩვენ კი, თუმცა განაალებში (ხელობა-ცოდნაში) გჯობივართ, მაგრამ კულტურულად ველოდებოდით ვართ, დავსტკი მეტოქეში ორიგინალურ სიმღერით, რომელსაც რაღაც მიუწოდებელი გმირული სული უდგას, თქვენის თავგზიანობით, სიყვარულით, თქვენის შეუღარებელ ცეკვაობის ყურებით, პაწაწა ჩონგურის მომხიბლავ ნახმებით, თქვენის გულუხვობით, პურადობით. ერთი დღე თქვენთან გატარებული მირჩენია ერთს წელს ჩვენს დაღვრემილ ხალხში უგემურს ერთფეროვან გაუხარებელ ცხოვრებასაო.

ასეთს ღრმა შთაბეჭდილებას დასტოვებს ქართველი კაცი ყველა უცხო ადამიანზე თავისის ჩვეულებით, თუ ეს ერის გენიოსობით შემწონი კულტურა არ გაგვიყვანს ან არ მოგვიშალს „შუქურა ვარსკლავებმა“, რომელიც ჩვენ ზვიდან აპყროვად მოგვანათებენ, მაგრამ თავისი სინათლე არა აქეთ და არც ისე დიდები ვახლავან, როგორც თავი მოაქვთ ან თვალს ეჩვენებიან.

გურიის კუთხე დამივილი ამ ოციოდ წლის წინედ, როდესაც უცხოელების კულტურას ამ ხალხზე შესაძენივი გამოყვნილი გავლენა არ მოუხდინა. უსწავლელ-უწიგნო ვლტე-კაცებმა გამაყვირეს მათი დიდებულ სიტყვა-პასუხით, „ჯენტლმენობით“—ზრდილობით, ძველებურ ქართულ განათლებით (ბევრმა იცოდა გლობა საუცხოოდ და უფრო მეტმა ძველი სიმღერები—წარმტაცები), ჩვეულებათა სათნოიანობით, კულტურით, რომლის გრცლად აღწერა ითხოვს ახალს გმირებს. მათი ჩონგური და ფერხულის დაბნა ხომ

ტილი ექნება და ეს კი ავსტრიის ეკონომიურათ გადატაცებს. იმიტომ ავსტრიის ერთადერთი გზა წინააღმდეგობის გაწევა არის.

**შეპირებული შტაბები.**  
 ამერიკის ფინანსიური წრეები იტალიის გამოსვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ფინანსისტების აზრით რუმინია, სამხრეთი და თვით ბულგარეთიც იტალიის მაგალითს მიჰაძვენ.

**რ უ მ ი ნ ი ა უ ი.**  
 რუმინიის სატახტო ქალაქში ათასობით ავრცელებენ პროკლამაციებს, რომელიც მოუწოდებენ ხალხს მანიფესტაციის გამართვას სასახლის წინ და მოითხოვონ რუმინიის გამოსვლა რუმინიის იდეალების განსახორციელებლათ. პროკლამაციებს მთავრობა კონფისკაციის უშვებდა და მის ავტორებს დაქებს. პროფესორ სტერას მოულოდნელად აზრის შეცვლამ რუმინიის პოლიტიკურ წრეებში დიდი გავლენა მოახდინა. პროფესორს უთქვამს უფროს კურსის იურისტიკისთვის. „ამ სესიაში ჩვენ უკანასკნელთა ვხვდებით ერთმანეთს. ჩვენი გამოსვლა აუცილებელია. უნდა მოვიშალოთ ომში გასაწვევითა“.

„ადვილი“ მთავრობის ამტყუნებს, რომ ამდენხანს სამთა შეთაზმებასთან მოლაპარაკება ვერ დასრულდა და მოითხოვს მთავრობის გადადგომას.

**ტრინტის მემორანდომი.**  
 „ფრანკი“. ცეცხლს მიუხედავად დენტი ასე ასწერს ტრინტის მემორანდომს: იტალიის მიერ ომის გამოცხადებისთანავე ტრინტში ცხოვრება შესწყდა. იგი მკვდარ ქალაქად გადაქცა. ნავთსადგურში სიწყნარა. ქალაქს ღამით არ ანათებდა. მტრის დიდი შიშით ელიან. ფრანგებმა, იტალიელებმა და ინგლისელებმა ანდორიტები დაქვედნენ. მცხოვრებლები დღონებულნი არიან. უმრავლესობა სახლში ზას და თავის დიღურსაშუაშაოს ჩუმათ განაგრძობს. ყურეს გამრეშო სრული სიჩუმა გამოეფებული. აღშფოთებული მოვლიან მამავალ ტრანგედას.

**„ძველი“ და „ახალი“ ქვეყანა.**  
 (ომის გავლენა.)  
 „ძველი ქვეყანა, ეს ევროპაა, ხოლო „ახალი“ ამერია. მაგრამ თუ მხედველობაში ქვეყნის ეკონომიურ ვითარებას მივიღებთ, მაშინ „ძველი“ მხოლოდ ევროპის დასავლეთით მდებარე დიდი ბრიტანეთის კუნძულები აღმოჩნდება, ვინაიდან

გაიტაცებს იმასაც, რომლის სული მიძინებულია და მიმკვდარებული მუდმივ დუბიურ ქვეყნიურს ზრუნვაში და ვისაც ხშირული სული უღვივის გულში, იმას ხომ ცად აიტაცებს.

ამ ხალხში ქურდები სულ არ იყო მაშინ—ძველი გურული, როგორც ქართველ-ქხელიც ამას არ იკადრებდა. გურულებს ბურთაობა, ფერხულის დაბნა და ნაირ-ნაირი ცეკვაობა დიარისა და სიმღერათა ხმაზე ხომ განთქმული იყო.

„ამაყი ალბონი“ ჯერ ისევ მერა სულ-კუნეში კაპიტალიზმით განითარებულ ქვეყნათ იფლებოდა; მაშინ როდესაც მისი მეტოქე საქართველო—ქრისტიან მხოლოდ მეტყველ სულს იტყობდა ნახევარიდან მომხიბლავ „ახალგაზდა გერმანიის“ სახელით.

დღეს კი „ახალგაზდა გერმანია“ გერმანიის უდიდესი და მთავარი სახელმწიფოა და სავაით დავაქაცებულთა, მაგრამ თუ მას ერთი მხრით ინგლისს შევადარებთ და მეორე მხრით ამერიკას, მაშინ ისიც „ახალი“ ქვეყნათ უნდა ჩიოთვალოს: გერმანიაც ახალი ქვეყანაა.

ამ ათიოდ წლის წინათ კაცუკა წერდა: გერმანიის მომავალის სურათს ეკონომიურის მხრით მხოლოდ ამერიკა წარმოადგენს. ეს სავსებით აღწრულა: გერმანია ამ ათი წლის განმავლობაში ეკონომიური განვითარების გზაზე ამერიკული სისწრაფით გაიქანა და ყველაფრით მას გვერდში ამოუდგა. დღეს სადაც ამერიკის საქონელი იხსნება, იქ გერმანულ საქონელსაც ადგილი აქვს, სადაც ამერიკულ ტანისკას აქვებენ, იქ გერმანულიც არ არის დაიწყებული. ამნაირათ მსოფლიო ბაზარზე ახლა ინგლისის სახელის ნაცვლით ამერიკისა და გერმანიის სახელები ისმის.

როგორც ხედავთ, მსოფლიოთ ბაზარზე „გაბატონებისათვის“ დღეს „ძველი ბატონთან“ ინგლისთან ერთათ გერმანიაც და ამერიკაც იბრძვის. ამრიგათ „ძველი ქვეყანა“—ინგლისი იძულებულია შეებრძოლოს „ახალ ქვეყანას“—გერმანიას და ამერიკას. ახლანდელი ომი ეს „ძველი ქვეყნის“, ე. ი. ინგლისის „ახალი ქვეყნის“—გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაა, ამ ახალი მეტოქის შესუსტება „ჩვენების“ ცდაა.

მეორე „ახალ ქვეყანასთან“—ამერიკასთან ბრძოლა—ეს მომავლის საქმეა. ხოლო ახლანდელ ბრძოლის მოსავლათ ინგლისი ცდილობს ამ ორ „ახალგაზდა“ ქვეყნებს შორის კონფლიქტი გამწვავოს და ერთი მათგანის—ამერიკის—ნეიტრალიტათ დღესდღეობით ისარგებლოს: მისი დახმარებით ჯერ გერმანია დაამარცხოს და შემდეგში... ვინიც ამერიკის წინააღმდეგავი გაილაშქროს.

სწორეთ ასეთი პერსპექტივებით აიხსნება ის მოვლენა, რომ დღემდე „ანტი-მილიტარისტობით“ თავიანწონენ ინგლისი ახლა თავგამოდებით შეუდგა მუდმივი ჯარის შესადგენად კანონ პროექტის შემუშავებას და სახელმწიფოში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგავ-

როგორც ღამით ფუტურო ბრძვილიებით გაიტაცებს და ახლო რომ მიხვალ, ფუტურული დაგეგმვა, ისეთი არაინო ჩვენი ზოგი ნასწავლები—ბრძვილია გარგნობით სერთუ-ფრა-ვერჩატკებით გამოწყობილი, მაღალ ფრახებით შემკობილი—საქმით კი ფუტურონი არაინო, უვარგისი, უკულმართნი, გამაინებებულები, ცხოვრებას ტანიდან მოწყვეტილი, გამხმარნი, ეროვნულ საქმისთვის მკვდარნი, მავნებელ მეტ-ბორცნი ჩვენი ერის საღ ტანზე, გადაგვარებულნი... ეს „შუქურები“ მის შემდეგ თუ არ გამირავდნენ, რიცხვით არ დაკლებულთ, ცალკე „დასას“ გასულან ნამდვილ ეროვნულ ინტელიგენციისაგან და ქართულ ჩვეულებათა უარის მყოფდნი, ნემეკურად უნდათ გადაგვანთლონ, გაგავურჯულონ, გადაგვავარონ, ქართველობიდან მოგვშალონ, ეროვნება მოგვიკლან, გზა აგვირონ თვით გზადაკარგულებმა.

ასეთები არიან „შუქურები“ ე. ი. ერთი ნაწილი ნასწავლ საზოგადოებისა, რომელიც ცალკე „დასად“ მოსწყდა და გადავარებას „პროპაგანდობს“ ხალხში, თუცა ამ ხალხს და მის ჩვეულებათ იქ ვერ იცნობს, როგორც თავის გზადაკარგულობა ვერ შეუგნია. ამათგან გაწვრთნილები ბევრი ყრბა სოფლებში „უჩიტლებათ“, თუ წვრილ „ჩინოვნიკებათ“ და ან უსაქმო მოხეტიალე ჩიტრიკებით, ერთი ამ დასის მიმდევარი ჩემს სამშობლო სოფელში მიხვდება „შუქურობა“, ე. ი. თავისი ქდავებით ხალხს აბულებდა ჩვენს ისტორიას, ჩვენის მამაპაპების სხეებს, აძაგებდა მათს საფლავებს, მათს რწმენას, ერის ჩვეულებათა და დროს გატარებას: ეროვნულ დღეობებში, სერთო თამაშობა-დროს გატარებაში ვერ მიიკარებდი თურმე. თვით ადგომის დღეს ეს სკოლის „უჩიტელი“ განგებ ბოსტანში შევიდოდა თურმე, განუყრელს თავის სამკაულს სერთუ-ფრა-ვერჩატკებს, ამ დღეს განგებ გადაყრიდა, თხის დაიკურდა და

რის შემოღების ცდას. სხანს გერმანიის მილიტარიზმმა ისიც მილიტარისტულ გუნდებზე დააყენა და მომავალსაც შიშითა და ძრწვლით უყურებს. მსოფლიო პოლიტიკაში ინგლისმა მართლაც შესძლო გერმანიის წინააღმდეგ სახელმწიფოების ახმედრება და ახლა ინგლისთან და რუსეთთან ერთად თითქმის ყველა გერმანიის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის შემუსვრავზე გააკვირეს.

ცხადია ახალგაზდა მებრძოლს—გერმანიას უსწოროდ ბრძოლაში მომხრე და თანამგზავნი უნდა ეშველოს, რომ თავისი გაღმართული ხმის ამართა არ ღარჩინდეს. ვისთვის უნდა მიემართა მას? რა თქმა უნდა თავისივე მსგავსისა და ახმანაგისათვის, ესე იგი—ამერიკისათვის. მან მართლაც მიმართა მას და მიმართა ენერგიული მოწოდებით თავისი ამერიკულ ნემსების და გერმანულ მეცნიერ აგენტების საშუალებით. მაგრამ დასხუთ ამხანაგის სიმუთლეს და გერმანიის უფედრებას: ამერიკამ თავი განზე დაიჭირა და თავისი საკუთარი ინტერესები წამოაყენა.

დაახ, კაპიტალისტის მეგობრობას საკუთარი ინტერესი განსაზღვრავს ხოლო ამერიკაც, როგორც უაღრესი კაპიტალისტი, სწორედ ასე მოიქცა. მან უპირველეს მიზნად დაისახა ახლანდელი ამისაგან შექმნილ საფარო პირობებით ისარგებლოს და, რაც შეიძლება, მეტი მილიარდები დააგროვოს. ამიტომაც ახლა გერმანიის წინააღმდეგ საყოველთაო ახმედრება მას საშუალება მისცა მეზობელ ქვეყნებში ყოველგვარი სამხედრო მასალა წარმოუდგენელი სისწრაფით გაესაღებო. მართლაც თვეში—მარტში ამერიკის (შეერთებულ შტატებს) თითქმის 600 მილიონამდე სამხედრო მასალა გაუტანია.

ერთ დროს სწორედ ასევე სარგებლობდა ინგლისიც ევროპის კონტინენტურული ომებით და კაპიტალისტ საოცარი სისწრაფით ზრდიდა. ახლა ამ „ისტორიას“ ამერიკა იმეორებს და რა გასაკვირველი იქნება, რომ მანაც შემდეგში მსოფლიოზე განუყოფელი „ბატონობა“ მოინდომოს.

ოფლით იწურებოდა სკოლის ბოსტანში, მარტო იმისთვის, რომ ხალხი შეგვიგნებინა—ცეკვა თამაშობა დროს გაართმევთ და გლუბავთ, უქმობა ფულის დაკარგვა არის, ამა შემომხედეთ, აღდგომასაც თქვენც ასე იმუშავებთ... ის კი არა, ესეთი მუშაობა მქადაგებელი ყველა დამეგობს, კარტაობაში ათენებდა თურმე ქმა-ბიჭებში. ხალხმა ასეთი ხსოვნა შეირჩინა ამ ეროვნებიდან გავარდნილ კაცუნებზე: ნასწავლი კი იყო, მაგრამ სწავლაზე, ჩვენი არა მოსწონდა რაო, მოიკლამბიკებდა ის ცხონებულო. „ბატონო, ჩვენი ცეკვა თამაშობა, ჩვენთან ჯარში გარევა“ არ უნდოდა, თორემ ფეთონ კი თავის ამხანაგებთან და ნასწავლ ქალებთან ძალიან ტანცაობდა ცხონებულო, ბუზიკასაც უკრავდა, ქაჯურათ ცეკვაობდნ ქალებთან გადახვეულები ღამ-ღამობით, ხშირად გაათენებდნ კიდევ. განა ეს ურჯულობა არ არის ასეთი ცეკვა?—დაუშობა გლემბა...

გავარდნილ არ სჯობია, მე თვით დავსწარ ერთს ამ „სოფლის დასელების“ დროს გატარებდა—ათიოდ ნასწავლი კაცი დაესწრო პატარა საღამოს—სკოლის უჩიტლობა. საპატრიცებულო მათი სტუდენტი ვიყავ, მაგრამ ვერც ვახშობაზე და ვერც ნავსმეგვს გადამეტებულმა ჩემმა თხოვნამ ვერ გასტარა: ვერც ადგილობრივი სიმღერა გამაგონეს (უცხოური კი ბევრი), ვერც ჩვენი სკოლაში მიჩვენეს (კვლავსაბამი კი ღამე გაათენეს—ქალაქების გადახვეულ ანუ ჩახვეულ ტანცაობით), ვერც ადგილობრივი თამაშობით გამართეს (რუსული „ВОЛКЪ“ საუბროლო წარმოადგინეს და ბევრი ისამოიფეს). საყვედურითა სიტყვა დავხარჯე. საყვედურზე „ბარინამ“ რუსულად მიასახა: მიკვირს, ასეთი განათლებული ხარ რომ ბრძანდებით, როგორ უნდა კადრულოდეთ აჯავლიანობის (ქ. ო. ქართულის) სიამღერის მოსმენას, მათი ცეკვაობის ყურებას... ფი! არც გვისწავლია, არც ვიცით და არც გავიწყვით უსწავლელ ველურების დროს გატარებდითო.

(დასასრული ხველი).

როგორც ვიცით ასეთსავე „ბატონობის“ წყურვილს სწამებენ გერმანიისა და აი მსოფლიო ასპარეზზე ერთიმეორის მეტოქეობით გამოდის ეს ორი „ახალი ქვეყანა“. ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო დროს ყოველი პრეზიდენტის, რეპუბლიკის მეთაურობით ამერიკაშიც წამოიყო თავი მილიტარისტულმა და იმპერიალისტურმა პროპაგანდამ: დღეს ჯარის და სახელე პოლიტიკის გაძლიერებას იქაც მოითხოვენ. მით უფრო რომ, ამერიკის გერმანიის გარდა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიაც გამოეჭირა და ლამის მისი გავლენა ჩინეთზე ძალზე შეუსუსტდა.

ამხარიათ, ერთი მხრით გერმანია, ხოლო მეორე მხრით იაპონია იძულებულ ყოფნენ ამერიკას, მანაც თოფიარალი აისხნას და ბრძოლის ველზე გამოვიდეს: მშვიდობიანი ვაჭარი მეომარი უნდა გახდეს და ისე დაიპყრას შორეულ აღმოსავლეთის ბაზარი. ამერიკაც უნდა „გაიბერიკალინდეს“. ასეთია დღევანდელი კაპიტალისტური ვითარების მსოფლიო ტენდენცია და ამას ემორჩილება ყველა სახელმწიფო.

აქ „ძველი და ახალი ქვეყანა“ გაერთიანებულია და ორივე ერთ ღმერთს ემსახურება—ერთ გზაზე მიდის: ორივე კაპიტალიზმის უმაღლეს წერტილსაკენ მიექანება.

თუ რა ბედი ელის მას იქ იმ მწვერვალზე, ჩვენ მხოლოდ მრავალ წერტილებზე შეგვიძლია დღეს გამოვსტკავთ...

ლ—კა.

18 მაისი, ძ. შუთაისი.

ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის მომავალ არჩევნების შესახებ, რადგანაც ეს წერილები რედაქციას არ ეკუთვნოდნ და მხოლოდ ცალკე პირთა აზრი იყო გამოთქმული, ამიტომ შიგ ბევრი იმისთანა შეხედულობაც იყო გატარებული, რომელსაც რედაქცია არ იზიარებს.

საზოგადო დაწესებულებათა დახასიათება და მეტადე იმ პირთა, რომლებიც ამ დაწესებულებათ უდგანან სათავეში, მიუღლომელ კრიტიკის საშუალებით უნდა ხდებოდეს. ეს უკანასკნელი კი ხშირად ავიწყდება იმ პირთ, რომლებიც მონაწილენი არიან ხოლომე საარჩევნო პროპაგანდა-აგიტაციისა. პირიქითაღმართად გადაწყვეტა იმისა, თუ ვინ უნდა ედგას საფინანსო დაწესებულებას სათავეში—ადვილია. ცხადია, რომ ფინანსისტი. მაგრამ პრაქტიკულად ხშირად არის, რომ ვერ ვახერხებთ ამ ზომის განხორციელებას და სათავეში არა სასურველი ელემენტები სდგებიან. უმთავრეს მიზეზთ ამისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ არასოდეს არ ვიცით ის საზღვრები და ის ფარგლები, რომელშიაც უნდა ეძებნდეთ მისაგრეულ კანდიდატს ამა თუ იმ თანამდებობაზე. თუ ბანკის მოღვაწეს ვიჩვენებ—ცხადია სად უნდა ვსტებნოთ იგი? იგი უნდა ვსტებნოთ საბანკო მოღვაწეთა შორის, სპეციალისტებსა და იმ პირთ შორის, რომელთაც უკვე აქვთ პრაქტიკულად შესწავლილი ეს საქმე, ჩვენს განათლებულ მრწველთა და ვაჭართა შორის. მაგრამ ჩვენში ასე არ ხდება. არჩევნებში მთელ საქართველოს იწვევენ და ბანკის დირექტორთა ხშირად ბევრგვარი გადის და პედაგოგათ—ფინანსისტი.

კერძოთ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის თავმჯდომარის თავისუფალ ადგილს სულ უკანასკნელი ოცი კანდიდატი ჰყავს. მათი სიები გამოცხადებული არ არის, მაგრამ წინდაწინვე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მათ შორის საქმის სპეციალისტი ორი, ან სამი იქნება. დანარჩენები კი, როგორც მიღებულია საქართველოში, მართლდენ თავისუფალ ალაგების კანდიდატებისაგან შესდგება. რასაკვირველია, ასეთ პირობებში არჩევნები ანარმალიურათ სწარმოებს, ოცდაათი კანდიდატს უკან ოცდაათი ჯგუფი მოსდევს და ამის ბრალია, რომ ყველა ჩვენი არჩევნები უმრავლეს შემთხვევაში „ფუჭი“ იქნება და სასურველი კანდიდატი საქმის გარეშე რჩებიან.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის თავისი ისტორია და პრაქტიკა აქვს. ჰყავს თავისი მოღვაწენიც. ეს ისტორია და პრაქტიკა გვიჩვენებს ამ მოღვაწეთა აუკარგაინობას. და ეს ისეთი გარემოებაა, რომელმაც უნდა გააადვილოს არჩევნების საქმე. არჩევნები იმ პირთა შორის უნდა მოხდეს, რომელთაც თვითნაირი თვის ისე გა-

ანეს საზოგადოებას, როგორც საქმის მკოდნეთ. ჩვენ არც იმის მომხრენი ვართ, რომ ახალ ადამიანს ადვილი არ ჰქონდეს კანდიდატთა სიაში. მაგრამ ჩვენ აშკარათ წინააღმდეგნი ვიქნებით იმ პირთა, რომელთაც მხოლოდ ესლა და ჩვენს თვალწინ სურთ ფინანსიურ ანბანის შესწავლა. ასეთ პირთათვის უფრო ნაკლებ პასუხსაგები თანამდებობანი არცებობენ. მთავარი კი ის არის, რომ ადამიანებს, რომელთაც უკვე გამოიჩინეს საქმის უნარი და ცოდნა, სანამ ისინი თავის თანამდებობას შეეფერებიან, ზნელ საუკუნაში არ უნდა ვყრიდეთ უსაქმობა. პირიქით ყველანაირათ ხელს უნდა უწყობდეთ და ასპარეზს უმზადებდეთ მათ, რათა უფრო გამარავლონ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მთავარი ღერძი იქნება ჩვენის წინმსვლელობისა.

ქართული პრესა.

როგორც ჩვენ მკითხველებს მოგხსენებთ 24 მაისიდან თურნალ „კლდე“ მაგიერ გამოვა ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“. ამის გამო თურნალი „კლდე“ სწყრს:

...ფართო განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა შეუდლებული საღნაეთალურ პოლიტიკით, მიტანა ერთ-ერთ ქვისა და გამაგრება ამ საფუძველზე შეადგენს უმთავრეს მიზანს ჯურნალ „კლდისა“.

ქურ. „კლდე“ № 1—1912 წ.

აი რა გეგმით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ თურნალ „კლდე“ პირველი ნუმერი 16 ენენისთვეს 1912 წ.

მას შემდეგ გაიარა 3 წელია. გადაშლით მისი ფურცლები და დინახავთ, რომ არც ერთ სტრიქონით „კლდე“ ამ გეგმას არ აუხვევია.

პირიქით ყოველგან და საყოველთაოდ, გაბედულად და თავგამოდებით იცავდა მას და როდესაც და სადაც შეეძლო თავის პაწია ძალებით ატარებდა ცხოვრებაში და ანხორციელებდა თავის ნაწერ-ქადაგებებს.

ამიტომ ამჟამად შეგვიძლიან თურნალ „კლდე“ მოკლე წარსულსაც გადავხედოთ.

მოკლე იყო იგი, მაგრამ მძიმე. მძიმე იყო იგი, რადგანაც ცოტანი ვიყავით.

ცოტანი ვიყავით და გარსემორტყმულნი ქართულ ცხოვრებაში გამეფებულ უიმედობით და სკეპტიციზმით.

ბევრჯელ „კლდის“ მუშაობა მითოლოგიურ სიხვის ტანჯვას მოგაგონებდათ, როდესაც ატანდო მალდ მთაზედ ქვა-გორა უკან უგორდებოდა.

ბევრჯელ ქართულ სკეპტიციზმმა ეს ქვა ხელიდან გააგდებინა. მაგრამ ამან არ შეაშინა „კლდე“.

პაწია ჯგუფი „კლდისა“ სიყვარულით საგვ თავის სამშობლო ერისადმი, ბეჯითად უფლდა მის მძიმე საკითხებს, რომლებიც მრავლად ხვდა მას წილად ამ სამი წლის განმავლობაში.

მე არ შეუდგები აქ „კლდის“ ნამუშავერის აღწახვას.

ეს ობიექტურ მემატინების საქმეა. და არც საჭიროა. სამი წელი არც ისეთი გრძელი ხანაა, რომ ქართველ მკითხველს მეხსიერებიდან გაუქრეს იგი.

შეიძლება მართა ორიოდ სიტყვაში გავისხენოთ „კლდე“ ნამუშავერი. თურნალ „კლდე“ გატება უიმედობით დაბურული ჩვენი ცხოვრების ტყეში, გაქრა ბილიკი საიმედო ქართულ ეროვნულ მომავლისაკენ და გაამაგრა ერთი კუთხე ამ მომავლის საფუძვლისა.

ახლა, აუცილებელია ამ გზის გადიდება და კიდევ მრავალ ქვის მიტანა ამ საფუძვლის საბოლოოდ მოშენება-გამაგრებისათვის.

ნომრით ემშვიდობება თავის ძვირფას ქართველ მკითხველს და იწვევს მას ყოველდღიური გაზეთი — „საქართველო“-ში.

სამაოვნებით ვეგებებით გაზეთ „საქართველოს“.

ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ მაღლი საქართველოს პირახულობისა არ დაიქარებოდა და ერთხელაც იქნებოდა საქართველოს საუკეთესო შვილი თავს გამოიღებდნ ჩვენის სამშობლოს სახელით, ამავე სამშობლოს ასაყვავებლათ და გასაძლიერებლად.

ჩვენც ჩვენს სუსტ ძალ-ღონეს ეროვნულ-დემოკრატიულ იდეების გავრცელებას ვახმარებდით და რაკი ამ დღეს მოვესწარით, რომ „საქართველოს“ გარშემო შემოიკრიბნენ ფიხელი ძალები, სიხარულით გილოცავთ, მკითხველებო.

დღეს შემდეგ ასე აბუნათ ველარავინ აგვიფარებ... მართალია დღესაც ბევრია ჩვენში ისეთი, რომელთა გონებაც შეზღბულით მოცულა, უხარია ჩვენი ხალხის გონებრივ-გნებობრივთ გაყვანა, ხელს უწყობს ჩვენი ხალხის დაბეჩავებას და გაიძახის: „ასე აეფ და ასე აქნება“, მაგრამ სიტყვიან უკეთურნი!

დღეს შემდეგ ეს აღარ აქნება: ვინაიდან ქართველი ხალხი ახლა-კი ადვილათ გააჩვენს მოყვარეს მტრებისაგან.

ახალი აგზაში.

◆ დღედან ქუთაისის თეატრში იწყება წარმოდგენები მალოროსიულ ენაზე გაიღამაკის დასისა. ეს დასი ერთ საუკეთესო დასათ ითვლება მთელ რუსეთში. მასში მონაწილეობენ ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორიც არიან—კორნუბე, შოსტაკოვსკია, გაიღამაკა, მანკო და სხვები. მალოროსიული რეპერტუარი ხომ ცნობილია: მალოროსიულ კომედიას—უსაზღვრო სიცილი მოსდევს; დრამას კი—უსაზღვრო მწუხარება. ყოველივე ამის დაუშობათ მათი სპეციალური სინდერა, ცეკვა და შეიძლება თამაშათა ვსტკვათ, რომ მაყურებლები ტყვილათ არ დაჰკარგავნ დროს ამ წარმოდგენებზე დასწრებით.

◆ აქარელთა სასარგებლოთ მოწაფემ ალ. ბრეგაძემ შემოსწირა ათი შაური.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთათუბმა განყოფილების გამგეობამ ამ ერთი კვირის წინათ ბათომში გაგზავნა ვეჟილა ბ ნი გრ. გიორგაძე აქარელ მემია ქათამიძის დასაცველად. ქათამიძეს რუსების ლალატს სწამებდნ. ბნ გიორგაძემ შესარულა მონდობილობა და არამც თუ სასყიდლი არ აიღო, გზის ხარჯებიც კი თითონ იკისრა. რისთვისაც გამგეობა ბნ გიორგაძეს მალოობას უძღვნის.

◆ მწუხარებით უნდა აღენიშნოთ საძაგელი საქციელი ქუთათურ ზოგიერთ მოსწავლეებისა, რომელთაც 17 ამ თვეს, საღამოთი, ახლად გაყვანილ ჯარისკაცებს ქუთაისის ბულვარში ჩხუბი აუტებეს და ერთმანეთს თავ-პირი დაამტკიცეს.

პოლიციამ ძლივს გააშველა მოჩხუბარნი. რაინდობაც ასეთი უნდა!

◆ სახალხო განათლების მინისტრმა შესაძლებლოთ სენო შემოდგომაზე ხელმეორეთ დაუშვან გამოცდებზე ის მოწაფენი, რომელთაც კურსი უნდა დაესრულებინათ და მისის გამოცდებში ჩაიჭრნ. ამის შესახებ ამდღებში გამოიცემა ცირკულიარი, რომლითაც პედაგოგიურ სამსახურში მინდობათ იმ კითხვის გადაწყვეტა დაუშვან თუ არა ესა თუ ის მოწაფე ხელმეორე გამოცდებზე.

◆ ქუთაისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის უმფროსი სპეციალისტი ბ. ბერეკაშვილი გვთხოვს გამოვცხადოთ მევენახეთა საყოველთაოდ შემდეგი: როგორც ამას წინათ ვაცხადებდით მიღებულია ოცდა ათი უუთი ფხენილი ეკლერი; ეკლერი ნაკადი საშუალებაა ვახის ავთომუფობის ქრატის წინააღმდეგ. ფხენილი შეკრულია კონებათ; თითო კონაში ხუთ გირვანქაზე ცოტა ნაკლებია.

◆ მომზადება ასე უნდა: ერთ კონა ფხენის ცოტა-ცოტას ჩაყრიოთ რვა ფუთ (ჩაფ) წყალში და მოურყეთ კარგათ. ფხენილი სულ ადვილათ დნება წყალში. შემდეგ ჩვეულებრივთ ასხურებთ ვენახს მანქანით. მომზადება ადვილია. ერთი კონა ფხენილი ეკლერი ღრს მინეთად და ცამეტ შაურათ (1 მ. 65 კ.)

მსურველთა მუშაობათ უნდა იმეორებინონ კომიტეტის კანცელარიაში. მიმართეთ უმფროსი სპეციალისტს, ან მევენახეობისა და მეღვინეობის საგარეო კომიტეტის მდივანს.

სამინდას დარჩენილი

ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში შარშანდელი მოუსალოობით მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან და რადგანაც ომის გამო სიმინდის მიწვდა შეუფრხა, ამიტომ 11 მაისს აბაშის სადგურზე აღმინისტრაციის განკარგულებით უფრო გაჭირვებულეებს დაურეგლათ 850 ფუთი სიმინდი. აქვე გაიგზავნა შემდეგ 2 ვაგონი სიმინდი, რომელსაც ურიგებენ ხალხს. ოზურგეთის მაზრაშიც გაიგზავნა ერთი ვაგონი სიმინდი. ეს ზომა მიღებულია დროებით, ვიდრე ჩრდილო კავკასიიდან მოიტანენ საყოფ სიმინდს დამშეულ მცხოვრებთათვის, რჩდილო-კავკასიიდან უკვე გამოიგზავნა ქუთათისის გუბერნიის შვიდი ვაგონი სიმინდი და ყოველდღე გამოიგზავნება აწი 7—10 ვაგონი. რომ ვლადიკავკაისის სადგურზე ვაგონების დაქვითვა სიმინდით არ შეფერხდეს, გაგზავნილთა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან განსაკუთრებული მოხელე. ამას გარდა ყველა სადგურზე გახსნილი იქნება სიმინდის საწყობი, საიდანაც მსურველთა მუშაობათ შეიძინონ ფუთი 1 მან. და 3 კაპიათ.

◆ ქუთათისის ქალთა საზოგადოებას ქალაქის ბაღში, 14 მაისს, გამართულ სერიზობიდან შესოსულა სულ 1000 მანეთი.

◆ შაბათს, 16 მაისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შედგა ქუთაისის ქართველ დრამატული საზოგადოების წვეტაა წლიური კრება. კრებაზე ასარჩევი იყო ვამეყობისა და სარევიზო კომისიის წევრები. გამკეობის ძველმა წევრებმა დარჩენაზე უარი განაცხადეს. ახლებმა კი ყუთი არავინ დაიდვა. ხელ-ახალი არჩევნები მომავალი კვირისათვის მიხედება.

◆ ახალგაზდათა ვაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახლეობათ სამტრედიის რაიონში დაიწყება 21 მაისიდან და გაგძელდება 28 მაისამდე.

◆ კვირას, 17 მაისს, ქუთათისის საიდგილო-მამულო ბანკის დარბაზში დაიწყა ამ ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება.

◆ ქუთათისის საოლქო სასამართლოს უფროსი თვედრომარე ბ-ნი ფედოროვი გუშინწინ, კვირას, 17 მაისს ვაგრაში გამგზავნა.

◆ რედაქციამ მილო, წიგნაკი: „სიმართლე ქუთათისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ისტორიიდან“. გამოცემული ვასილ ბენეანიშვილის მიერ.

◆ წელს ქუთათისის ქართული გიმნაზია დასარულა 69 კაცმა. აი მათი გვაგრებიც:

გრიგოლ აბაშიძე, სოლომონ აღხაზაშვილი, ა. არეშიძე, ბ. ასათიანი, გრიგოლ ახვლედიანი, ტარასი ახვლედიანი, ილარიონ ბაქრაძე, გრიგოლ გაბუნია, ლევან გამყრელიძე, ევსევი გვილაფა, ფაფონ გოციორძი, დავით გოციორძი, ვლ. გოგოლაშვილი, დავით დემეტრაძე, ვარლამ დონდუა, ლევან ეზიკაშვილი, გიორგი თევდორაძე, ივანე თევდორაძე, შალვა იოსელიანი, პავლე კაკაბაძე, არტემ კვიციანი, შალვა კვიციანიძე, მიხეილ კიკნაძე, ილია კობაქაძე, აკაკი კოსტავა, ვახტანგ კუპრაშვილი, სიმონ კლდიაშვილი, ილია კობეშვიძე, ნიკოლოზ ლალიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, გიორგი მახარაძე, არჩილ მიქაძე, კონს. მიქაშვიძე, სერ. მესხი, კალისტრატე ნიქარაძე, სიმონ ნიკოლაიშვილი, ილია ლორთქიფანიძე, დიმიტრი მიქელაძე, გედეონ მეფანიძე, ილია რუხაძე, იასონ საჯაია, ივანე თოფურაძე, პეტრე თოფურაძე, ისმაილ თეგეაძე, ნიკოლოზ ფანცხავა, ზაალ ქიქოძე, გიორგი ქუთათელაძე, ლევან ჩარეჭივი, გიორგი ჩიქოვანი, რომანოზ ერისთავი, ვარლამ ჩიტორელიძე, პავლე ჩხაიძე, შალვა ჩხაიძე, გაბრიელ ხითარაშვილი, ნიკოლოზ ხუციშვილი, ალექსანდრე ჭიჭიანი, მის. ჭუმბურაძე, ბიძინა ჯაფარიძე, ქრისტეფორე ჯაფარიძე, ივანე ჯაფარიძე, ტიტიკო შარაშიძე, ონიფ. ნაკოლაიშვილი, კონ. ასათიანი, ვარლ. მახარაძე, სიმ. ფანცხავა, კოსტავა და კალისტრატე საჯაია.

